

კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შესწავლა (შემაჯამებელი ანალიზი, 2013-2017 პერიოდი)

კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შესწავლა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც იქნება ორიენტირებული კურსდამთავრებულების, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლების, სოციალური მოლოდინებისა და ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებაზე. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შესწავლის მიზანი იყო კურსდამთავრებულების ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - ბნსუ) სასწავლო პროცესით, არსებული ინფრასტრუქტურით, ადამიანური რესურსით, სტუდენტთა მხარდაჭერით, საგანმანათლებლო პროგრამებით, მიღებული განათლებით და საერთოდ, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტით, კმაყოფილების შესწავლა, მათი აზრის და განწყობის გათვალისწინების, ბნსუ-ს ინფრასტრუქტურის და სასწავლო პროცესის სრულყოფის, სტუდენტთა ადმინისტრაციული, აკადემიური და ინფორმაციული მხარდაჭერის სერვისის გაუმჯობესების, მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების აუცილებლობის დადგენის მიზნით.

კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შესწავლა ხდებოდა გამოკითხვების (ანკეტირების), შეხვედრებისა და პირადი გასაუბრების გზით. წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს 2013-2017 პერიოდში ჩატარებული კურსდამთავრებულთა გამოკითხვებისა და გასაუბრებების (შემდგომში - გასაუბრება) შემაჯამებელ შედეგს:

1. რესპოდენტთა კმაყოფილების დონე (5-ქულიანი სკალით, რიცხვები დამრგვალებულია დამტკვალების წესის შესაბამისად) შეადგენს: მიღებული თეორიული ცოდნით კმაყოფილების საშუალო ქულა 4.5; სწავლის პროცესში ჩამოყალიბებული პრაქტიკული უნარებით კმაყოფილების საშუალო ქულა 5.0; სწავლის პროცესში ჩამოყალიბებული საკომუნიკაციო უნარებით საშუალო ქულა 4.0; სწავლის პროცესში ჩამოყალიბებული პროფესიული თვისებებით საშუალო ქულა - 4.5; სწავლის პროცესში მიღებული ხელშემწყობი ცოდნით საშუალო ქულა - 3.5; მიღებული განათლების ხარისხით საშუალო ქულა 4.5. რესპოდენტთა აზრით (%-ში): საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართული ლექტორები (პროგრამის კომპონენტების განმახორციელებლები) დაინტერესებულნი არიან სტუდენტების შედეგებით, ობიექტურად და სამართლიანად აფასებენ მათ მიღწევებს და ხელს უწყობენ სტუდენტებს მომავალი სპეციალობისთვის აუცილებელი ცოდნის და უნარების ჩამოყალიბებაში (93%); ლექტორები ხელს უწყობენ სტუდენტთა ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას (67%); კმაყოფილნი არიან: პრაქტიკების ორგანიზების და ჩატარების დონით და იმ უნარ-ჩვევებით, რომლებიც შეიძინეს პრაქტიკის გავლის შედეგად (98%), ბნსუ-ს ინფრასტრუქტურით (91%), ბიბლიოთეკის მუაობით (89%), საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და ხარისხი (82%), სტუდენტებისთვის ადმინისტრაციული, აკადემიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხი (86%) და კურატორების მუშაობა (79%). ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ შეკითხვაზე "თქვენ რომ იყოთ აბიტურიენტი", კურსდამთავრებულთა 94%-მა უპასუხა, რომ კვლავ აირჩევდა ბათუმის ავიაციის სასწავლო უნივერსიტეტს, ხოლო 6%-მა აღნიშნა, რომ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებას აირჩევდა, რადგან იქ შეძლებდა იმ საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლას, რომელიც ბნსუ-ში არ ხორციელდება.

2. უმნიშვნელოვანესი იყო შეკითხვები კურსდამთავრებულთა მოლოდინებთან რეალური სასწავლო პროცესის, სწავლების და განათლების ხარისხის შესაბამისობის შესახებ, კურსდამთავრებულების სურვილის შესახებ მომავალში ითანამშრომლონ სასწავლო უნივერსიტეტთან და მიიღონ მონაწილეობა მის ცხოვრებაში: 1) შეკითხვაზე, რამდენად გაამართლა მიღებული განათლების ხარისხმა მათი მოლოდინები, კურსდამთავრებულთა უპასუხეს შემდეგნაირად (100 %-ის ფარგლებში, რიცხვები დამრგვალებულია დამრგვალების წესის შესაბამისად): სრულად შეესაბამება (42%), ძირითადად შეესაბამება (49%), არ შეესაბამება (3%), არ ჰქონდა პასუხი კურსდამთავრებულთა 6%-ს; 2) შეკითხვაზე გაუწევდნან თუ არა ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის რეკომენდაციას, კურსდამთავრებულთა უპასუხეს შემდეგნაირად (100 %-ის ფარგლებში, რიცხვები დამრგვალებულია დამრგვალების წესის შესაბამისად): კი და ალათ კი (91%), არა და ალათ არა (4%), არ ჰქონდა პასუხი კურსდამთავრებულთა 5%-ს; 3) შეკითხვაზე აქვთ თუ არა სურვილი მომავალში მიიღონ მონაწილეობა ბნსუ-ს ღონისძიებებში და მის ცხოვრებაში, კურსდამთავრებულთა უპასუხეს შემდეგნაირად (100 %-ის ფარგლებში, რიცხვები დამრგვალებულია დამრგვალების წესის შესაბამისად): კი და ალათ კი (87%), არა და ალათ არა (4%), არ ჰქონდა პასუხი 6%-ს. საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა, რომლების წერმოადგენენ ბნსუ-ს კურსდამთავრებულთა ძირითად ნაწილს, აღნიშნეს, რომ სურვილისდა მიუხედავად შესაძლო ვერ მიიღონ მონაწილეობა, ძირითადად საზღვაო რეისში ყოფნის გამო;

დასაქმების ხელშემწყობი კომპეტენციების და ხელისშემშლელი ფაქტორების შესწავლა

ამ მიმართულებით ბნსუ-ს კურსდამთავრებულთა აზრის შესწავლის მიზანი იყო კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობის, დასაქმების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების შესწავლა და იმის დადგენა თუ რა კომპეტენციებს კურსდამთავრებულნი ანიჭებენ უპირატესობას და მიიჩნევენ დასაქმების ხელშემწყობ ფაქტორებად, რას მიჩნევენ დასაქმების სავარაუდოდ ხელისშემშლელ ფაქტორებად და რამდენად ემთხვევა ამათი აზრი პოტენციური დამსაქმებლების მიერ ანალოგიურ შეკითხვებზე გაცემულ პასუხებს. კურსდამთავრებულთა გამოკითხვების, მათთან შეხვედრებისა და გასაუბრების შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას შემდეგი: 1) დასაქმების ხელშემწყობ კომპეტენციებში პრიორიტეტები განაწილდა შემდეგნაირად: თეორიული და პრაქტიკული მოზიდვის მაღალი დონე (რესპოდენტთა 92%); ინფორმაციული კომპეტენცია - ინფორმაციის სხვადასხვა წყაროსთან მუშაობის, ინფორმაციის მიღების, შენახვის, გადამუშავების ძირითადი მეთოდების, ხერხების და საშუალებების ცოდნა-გამოყენება (რესპოდენტთა 90%); ტექნიკური კომპეტენცია - კომპიუტერთან მუშაობის, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების, გლობალურ კომპიუტერულ ქსელებში მუშაობის, ინფორმაციის მართვის უნარები (რესპოდენტთა 89%); ტექნოლოგიური კომპეტენცია - თანამედროვე ტექნიკური საშუალებების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საკომუნიკაციო ამოცანების შესრულებლად (რესპოდენტთა 87%); ოპერატიული კომპეტენცია - დავალების შესრულების საიმედოობა, სიზუსტე და სიჩქარე (რესპოდენტთა 80%); ლინგვისტური კომპეტენციები - არანაკლებ ერთი უცხოური ენის, მათ შორის პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა (რესპოდენტთა 79%); ადაპტაციური კომპეტენცია (პროფესიული უნარ-ჩვევების ფორმირების და ტრანსფორმაციის სიჩქარე) - რესპოდენტთა 60%; ფსიქოლოგიური კომპეტენციები - სტრესულ სიტუაცებში ემოციური მდგრადობა (რესპოდენტთა 20%); საკომუნიკაციო კომპეტენციები - საქმიანი წერითი და ზეპირი კომუნიკაციის და პროფესიული ლექსიკის გამოყენების უნარი, საქმიანი ურთიერთობების დამყარების უნარი (რესპოდენტთა 15%); 2) რესპოდენტთა აზრით, ზოგადად დასაქმებაში ხელისშემშლელი ძირითადი ფაქტორი შეიძლება იყოს: პრაქტიკული მოზიდვის არასაკმარისი დონე (რესპოდენტთა 80%), თეორიული ცოდნის არასაკმარისი დონე (რესპოდენტთა 70%); პროფესიული მოზიდვის დაბალი დონე (რესპოდენტთა 65%); თვითგანვითარების მოტივაციის დაბალი დონე ან არარსებობა (რესპოდენტთა 5%); სპეციალობით მუშაობის დაბალი მოტივაცია (რესპოდენტთა 1%); 3) დასაქმებული კურსდამთავრებულნი დასაქმების ხელშემწყობ ფაქტორებად მიიჩნევენ: „მაქვს მოთხოვნადი სპეციალობა“ (რესპოდენტთა 85%, ძირითადად საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის კურსდამთავრებულები); „ჩემი პროფესიული თვისებები და კომპეტენციები“ (რესპოდენტთა 70%); „ჩემი მშობლების კავშირები და ნაცნობობა“ (რესპოდენტთა 57%); 4) დაუსაქმებელი კურსდამთავრებულნი დასაქმების ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევენ ვაკანციების არარსებობას (რესპოდენტთა 95%).

ბარისის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი